№ 159. 31 ივლისი, პარასკევი. 1866—1881 31 ივლისი, პარასკევი. № 159.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**რედაქცია**

გოლოვინის პროსპექტზედ, თ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვეშით.

**ხელის-მოწერა**

მიიღება თფილისში, „დროების"-„ივერიის" რედაქციაში, ქუთაისში: „დროების"-„ივერიის" აგენტთან ი. ჭყონიასთან სიღნაღზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба"-„Иверія".

**„დროება"-„ივერიის" ფასი**

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება" და „ივერია" ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება" | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია" | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., წვრილებრივი ასოებით სტრიქონზე ნახევარი კაპ.; წვრილებრივი ასოებით ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ ხელნაწერები მოითხოვს, რედაქცია გასწორებს და შემოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ. ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროების"-„ივერიის" აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს 5 კაპ.

ნახევარი წლის ხელის-მოწერა

პირველის ივლისიდამ წლის დამლევამდინ

**დროება**

ცალკე ღირს — ხუთი მანეთი

**ივერია**

ცალკე ღირს — სამი მანეთი

ერთად „დროება" და „ივერია" რვა მანეთი.

ხელის-მოწერა მიიღება, თფილისში, რედაქციაში (გალავინის პროსპექტზე, თ. ავ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვეშ), ქუთაისში—აგენტთან ბ. ილია ჭყონიასთან (სიღნაზე, მირიან ჭყონიას სახლში). ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ. Редакція „Дроэба".

## მეფის მოგზაურობა

თბილისი, 30 ივლისს.

Თითქმის ორი კვირა გადის მას შერმე, რაც ხელმწიფე Იმპერატორი გამოემგზავრა მოსკოვისაკენ; ბრძანდებოდა ნიჟნი-ნოვოგოროდში, კოსტრომაში და ინახულა სხვა-და-სხვა ადგილები შიგნით რუსეთისა. შემდეგ ტახტზე შებრძანებისა, მისი Დიდებულება არ მოშორებია პეტერბურღის გუბერნიას და ეს პირველი შემთხვევა არის, რაც მარტის უბედურობის შემდეგ მან ინახულა უძველესი რუსეთის სატახტო ქალაქი.—მეფის მოგზაურობას თავის საბრძანებელში ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონია: ის ამაგრებს კავშირს და სიყვარულს ხალხსა და ხელმწიფის შორის. Დღეს ეს მოგზაურობა კიდევ უფრო საყურადღებოა. მეფე ჯერ არ დაგვირგვინებულა, და ასე გამოეცხადა ხალხს.

რას ნიშნავს ეს ამბავი, რას მოასწავებს იგი? შემდეგ მარტის შემთხვევისა, მთელი რუსეთი აღელვებული, და ტანჯული იყო. ხსენებულმა უბედურობამა თითქო შეასუსტა მეფისა და ხალხის შორის კავშირი. Თითონ საზოგადოება ალიარებდა, რომ ის იყო მიზეზი შემაძრწუნებელ მოვლენისა.

Ახლანდელი მეფის მოგზაურობა დაამშვიდებს აღშფოთებულ საზოგადოების სინიდისს; მეფე თხოვს ხალხს კურთხევას, და მოიდრეკს მუხლსა თვისსა იმ ადგილებზე, საცა დაარსებულა მოსკოვის სამეფო, საცა დაბადებულა მისი წინაპარნი და საცა ამაღლებულა ტახტი რომანოვებისა. ხელმწიფემ ილოცა იმ ალაგს, საცა მის წინაპარს მიხეილ Თეოდოსეს-ძეს ელჩებმა აცნობეს Ღვთის ნება, რომლითაც რომანოვების გვარი არჩეულ იქმნა რუსეთის სამეფო ტახტისათვისო. საგულისხმოა ეს: მეფე სცემს თაყვანს თავის საბრძანებელის სურვილს, თავის ხალხის ნებას. ამ გრძნობაში უნდა იქნეს აწი სიმაგრე ტახტისა და ბედნიერება სახელმწიფოისა. ხალხის მიერ ნაკურთხი, ღვთის ნაკურთხია; ხალხის სურვილის, საჭიროების, მოთხოვნილების გამგონე და დამაკმაყოფილებელი, ღვთის მიერ ნაჩვენებ გზაზე მიდის, ასრულებს ზეციურ ნებას. ამ ნიადაგზე იქმნეს დამყარებული მეფისა და მისი ხალხსა შორის განწყობილება და ერთობა! მაშინ იქნება სიმაგრე შეურყეველი და სიმშვიდე დაურღვეველი.

## ახალი ამბები.

Დაიბეჭდა და გამოვიდა № 4 კავკასიის სამეურნეო საზოგადოების გამოცემისა. შიგ არის დაბეჭდილი: კავკასიის ირრიგაცია, ხატისოვისა და მეტეოროლოგიური ტაბლიცები.

* * *

ჩვენ გვაცნობეს, რომ ჩვენს თანამშრომელს „ვინმე მესხს" (მღ. Იოანე ზვარამაძე) საქართველოს ისტორია დაუწერია, რომელიც ბეჭედში ერთ დიდ ტომს შეადგენს. ამბობენ, მალე ბეჭდვასაც დაიწყებენო.

* * *

მომავალის ენკენისთვიდამ გაიმართება ქუკიაში ახალი მოსამზადებელი და განსამეორებელი სკოლა, რომლის მწარმოებელნი არიან ბ.ბ. Ი. მარტინსკი და Ა. მირზაშვილი.

* * *

პეტერბურღის გაზეთში სწერენ, რომ მომავალი წლიდამ რკინის-გზის ბილეთებისთვის დამატებული ხარჯი სახელმწიფოს სასარგებლოთ უნდა ისევ მოისპოსო. Ღმერთმან ქნას.

* * *

24 ამ თვისას, კავკასიის მსროლელი ბატალიონის შტაბს-კაპიტანმა Ლემენი-მაკედონმა მიიღო ხაზინიდამ 6,700 მანეთი და დაჰკარგა, სანამ ხაზინიდამ სახელმწიფო ბანკში მივიდოდა. Ეს ფული ბატალიონის ფული იყო. სამოც-და-შვიდი ას მანეთიანების ნომრებია 47500—47567.

* * *

„მშაკს" სწერენ საინგილოდამ, რომ იქით წვიმებს ერთობ დიდი ვნება მოუტანიათ. ამ მხრიდამ და ნუხის მაზრიდამ მოდის დიდი, ძალი ხილეულება, აბრეშუმი, მატყლი და სხ. და ამის წყალობით წრეულს ყველა ესენი ერთი ორათ გახდებაო.

* * *

Იმერეთის სხვა-და-სხვა იარმარკებზე ქალაქელებმაც დაიწყეს სიარული. Წინათ ოქრომჭედლები მარტო დადიოდნენ და ეხლა კი მრავალნი სხვა-და-სხვა ხელობის კაცი წასულან. როგორც, მეჩუსტები, მე ქუდები და სხვ.

* * *

Ფოთიდამ გვწერენ:

Ცამეტ ამ თვეს, საღამოს, მერვე

---

## «დროების» ფელეტონი, 21 ივლისს.

### სურათები ჩვენი ხალხის ცხოვრებიდამ.

### I

#### ცირკში

—კაცი რომ თავს წაიწყმენდს ზეზეურად, სწორებით მე დამემართა.... ჩამოველ ამ დასაქცევს Თბილის ქალაქში, ბოვშის სანახავათ.... მე სწავლობს აქანა თქვენის წყალობით....

Ბადამეკიდა ბალანა: „ცირქშიდ წავიდეთო, კაი სანახავებიაო"...

— ვაი, წავხდი!... რომელი მართებული კაცი უზნობდა, მაგას-თქვა?!..

— „კაიაო", დაიჟინა... სხვა კი არა გეგონოს-რაო... Ცხენებს აჭენებენო, ბაწარზედ დავლიანო და რაცხა-რაცხაები კიდენ სხვაიო....

Ბავბრიყვდი—და წაველით.

მიველით ბატონო, და მანამ შეველთ, ვინცხა-ვინცხა, თავს-ლაფ-დასხმული მასხარეები ქე მიფაჩუნებენ აქანა, ჯიბეზედ... ვიფიქრე: ყალიონი არ წამართვან-თქვა და ვშლიჭე თავი შიდ ოდაში!... Ბევიხედე და შემომწკრიებულა ირგვლივ, ქალი და კაცი, ბალანეები და უფროსები... ნაგომრობასაც არ იქნებოდა იმოდენი ჯარი...

Ბამოვიდენ მასხარეები და წიკუნტალა ითამაშეს... Არაფელი... მერე გამოვიდა ერთი ბალანა, შავიდა ბაწარზედ და იქანა საკორწიალაზედ იტრიალა, კაი ხანს... მგონია ეშმაკის შექნილი იყო, ი ვუბედური!...

Ახლა გამოიყვანეს ერთი მშვენიერი ცხენი. მოახტა ზედ ერთი ყაზახი და—მოუსო დეზებს!... Ბაიხტუნა, შემოატრიალა, შემოატრიალა, დაჰკივლა და დაჰკივლა, ასე რომ ცხენს, სულ ბრიგინ-ბრიგინი გაჰქონდა და იგი კი ხან შეუხტებოდა ზედ და ხან გრგოლში გაძვრებოდა... ძალიანი მარჯვე ყაზახი იყო... Ბაათავა მან. Ბამოიყვანეს სხვა ცხენი და გამოხტნა ერთი რაცხა სულიერი... Ახლაც არ ვიცი, ალქაჯი იყო იგი, მაჯლაჯუნა, თუ ეშმაკი?... (პირჯვარს იწერს) Ჯავრი აქაურობას.... Ქალს ქე ჰგავდა... მარა, სუმთლა, ტინტრაქა იყო, ი ვუბედური!... Ერთი სახე ლაჩაქი ქე ეხვია წელს ქვეით!... Შეუხტა ამ ცხენს და უკივლა... Აფშლიკა ფეხი, აფშლიკა მეორე!... Ვუი, წავხდი!... Წამწყმიდა, სწორება!... მივიფარე ბატონო, თვალებზე ხელი და ძლივს კაკალა სული გამოვახწიე, იმ დასალუპავი ცირქიდან!....

### II

#### ხათაბალა

Ბიახელ Თბილის ქალაქშიდ... Მე მოვდივარ ჩემდა, ი, უშველებელი ქარმასლა რომაა, იქანა. Ბევიხედე, შეიქნა რაცხა ჩხუბი.... Ყოველი კაცი იძახის: „დაეთხოვეთ, სუდში არ წაგიყვანონ მოწმეთო... ხათაბალააო"... Წამოველ ჩემდა... მოვდივარ და, აგერ ერთი ვინცხა მოლაპარაკობს... Აფხაზიკს ეუბნება: „ხათაბალააო, ბრიქულა დაუჭერიათო, სახლი დაუწვამსო, შეტანილი შიდ სტრახში!... „Ბამოვიზიე... Ჯარია, ბრევლისაგან ბრევლი... Ყოველი კაცი ამას იძახის: „ხათაბალააო... Ვინცხა Ჯანჯუხა გაკოტრებულაო!..." Აუარე მხარი, მოვერიდე... Აგერ შემხვდა Ბოგიელა და მიმიპატიჟა: „რაცხა თრიათრიაო"... Შევედით ბატონო თრიათრში და იქანაც ქე დამიხვდა წარმოდგენა, „ხათაბალა"-ს*) უხმობდნენ.

Დალახვრა ღმერთმა! Ამ Თბილის ქალაქში ყოველისფერი ხათაბალა ყოფილა!...

### III

#### მარილის ყანს

Შენს მტერს მისთანა, Ბოგიელას რომ მარცხი მოუვიდა... საჯაყი საქმე დაემართა!.. Დასტურ ასე აბდლური საქმე, კაცს არ მოსვლია... Ბატონო! Ივანიკმა და Ბოგიელამ მარილი დათესეს... კი, თქვენ ნუ მომიკვდებით!.. Მე გაგეცინებათ, მარა,

---

*) სუნდუკიანცის ერთს კამედიას ჰქვიან „ხათაბალა".

საათზედ, ფოთი-თფილისის რკინის გზის კამპანიის პარახოდს „ალექსანდრეს“ რეიდიდან მოყავდა ბუქსირით ორი ამავე კამპანიის ბარჯები, ბაქოს გზის რელსებით დატვირთულები. ბარში შემოსვლის დროს აუტყდათ ქარიშხალი. მებუქსირე პარახოდმა ვერაფერი ველარ გაარიგა და თუ საჩქაროთ არ მოეჭრა ბუკსირის ჭაპანი და არ მიეტოვებინა ბარჯები ღვთის ანაბარა, თითონაც არ ასცილდებოდა დაღუპვას. ბარჯებზედ ერთზედ იყო თორმეტი და, მეორეზედ რვა კაცი. როგორც პარახოდს მოსცილებოდენ თუ არა, მაშინვე ლუზები ჩაეგდოთ; მალე ლუზზედ ორნივე მოგლეჯილიყვნენ და გაეგდო აქავე ზღვის ნაპირათ. მაშინვე გავიდა საშველათ ზღვაზედ გაჭივრებულების მაშველებელი სადგურის კამანდა. ერთი ბარჯიდან ყველანი მაშინვე შვიდობიანათ გამოიყვანეს ნაპირზედ, ხოლო მეორეს ვერ მიუდგენ ვერაგზით დილამდინ. დილას ისინიც ტიტვლები სრულიად, შეშინებულები, გამოიყვანეს. ბარჯები ათას-ოთხასი რელსით საუკუნოთ დაიღუპა. რელსები ზღვეულია; ბარჯები არა.

## „დროების“ კორრესპონდენციები

**რაჭა, 25 ივლისს.** რამ გააუბედურა ასე გლეხთ კაცობა რაჭისა, რომ საშველი არა რომლის მხრით არ ეძლევა?

იმან რომ ყველანი გლეხ-კაცობას მისჩერებივარ ისე, როგორც მშიერი მწიფე ნესვსა. რომელი მოხელე პირი გინდა დავასახელოთ, რომ თვისი საკადრისი ჯამაგირი არ ეძლეოდეს, მაგრამ მოდი და განვიხილოთ რას ჩადიან ეს ჩვენი მოხელე პირები: პრისტავები მივლენ სოფლებში, სოფლის ხარჯია; სუდია მივა, ისიც სოფლის ხარჯია, პოსრედნიკი მივა, შინაც ბევრს წაიღებს; ნაჩალნიკი მივა, დიდი სეფა და ლხინი უნდა იქმნეს; დოხტორი მივა, რასაკვირველია, უფრო მოსახათრებელია, როგორც მკურნალი სენთა.

რომელი იასაული არ გინდა გლეხკაცობის ოფლით არ სცხოვრებდეს.

წასრულან, ვსთქვათ, რამდენიმე ძმა კაცი თბილისში, ოფლის ღვრით ფული უშოვნიათ, მოუტანიათ ოჯახში, და ცდილობენ მამული შეისყიდონ ნაბატონევისაგან. რომ ნაბატონევი შეიჯერიოს, რამდენსამე ფულს მაშუალი ართმევს; როდესაც გარიგდებიან და მიდიან მირ. პოსრედნიკთან (ხელდამშვენებულები სხვა და სხვა ძღვნებით). პოსრედნიკის მწერალი, რაც უნდა მცირე მემამულე გლეხი იყვეს, არა სჯერდება თუმანზე ნაკლებ პირობის შედგენას. რა კი პირობა შესდგება, მირ. პოსრედნიკი ქუთაისის საგლეხო პრისუსტვიას გარცდასცემს, საიდანაც შემდეგ რაჭის ნატარიუს გარდმოსცემენ და ნატარიუსი, ნაცვლად ორის მანეთისა, მოსთხოვს გლეხსა ხუთს ან შვიდს მანეთს.

ამ უბედურებას დაუმატოთ ის რომ ყოველს რაჭის გლეხის ოჯახს, ყოველ ზაფხულს ეთხოვება თითო მუშა გზებისათვის—უქირაოდ აგრეთვე ჯამაგირებს: მწერალ-მასწავლებლისა, მღვდლებისა, ჩაფრისა, ცხენების სტოროჟ-იასაულების და ფოჩტის ფულები, რომელნიცა სულ შეადგენენ უკანასკნელად სამს თუმანს წლიურს გარდასახადს...

მოდი და იცხოვროს გლეხმა, ამ უბედურს რაჭაშიდ, მაშინ, ოდესაც ბილეთსაც ვერ შოულობენ თავის ფასად. ბილეთებს ჰყიდიან მამასახლისის პრიკაშჩიკები ერთი-ორად. რომელი გზიდან არ გინდა გლეხ-კაცობა არ იტყავებოდეს ულმრთოთ! ამ უბედურებაზედ უმეტესი უბედურება ესე გახლავთ, რომ ხალხის ხოცა-ქლეტა გავრცელდა აქ, თოფიარაღით. თითო ოროლა თუმცალა სხვიმისაც იხოცებოდენ ამ ნაირის უბედურის შემთხვევით, მაგრამ ახლა ამ ერთის წლის განმავლობაში ოთხი მოკლეს. და მკვლელები თავისუფალნი არიან.

რაჭის მხატველი.

**გორი, 26 ივლისს.** ბევრჯელ ყოფილა გაზეთებში დაბეჭდილი, რომ ზოგი ერთი უეზდის ადმინისტრაცია იმისთანა საქმეს ჩადის, რომელიც მათთვის კანონს არ მიუნიჭებიაო. ბევრჯელ გალანძღულა კიდეც უკანონო მოქმედებისათვის, მაგრამ იგინი თავისას მაინც არ იშლიან, როგორც უნდათ ისე შვრებიან.

გორის უეზდის ნაჩალნიკს, ამას წინათ მოუწერია ხიდის-თავის მამასახლისისათვის: „ფრიად საჭირო.—ბრძანება.—ხიდის-თავის საზოგადოების მამასახლისს.—ოთხს მკათათვეს, დილით, ადრე, გორიდგან მიდის პოლკი, ამისათვის გიბრძანებ სამს მკათათვეს, სალამოს წარმოადგინე გორში ათი ურემი ყევარ ხარიანი ბარგის წასაღებათ რუისამდე“. მამასახლისს სიტყვით სიტყვამდე შეუსრულებია ნაბრძანები უფროსისა, ე. ი. გამოუგზავნია გორში ათი ურემი, მაგრამ, საუბედუროთ, ადმინისტრარიას სდომებია, თურმე ოცი ურემი და ოცი ურმის მაგივრად, შეცდომით, ათი ურემი მიუწერიათ. როცა მოსულა დანიშნულს დროს ათი ურემი, გაცეცხლებულა უფროსი, როგორ თუ ოცი ურემი არ გამოუგზავნიაო და მეორე მოწერილობა აფრინეს მამასახლისთან ათი ურემი კიდევ გამოეგზავნა.

ეს მეორე ბრძანება ისეთ დროს მოუვიდა მამასახლის, როცა ხალხი ალარავინ იყო სოფელში და მამასახლისი თითონ წავიდა ნაჩალნიკთან და სთხოვა რომ წასვლა მეორე დღისთვის გადაედვათ. მამასახლისი, რომ მოვიდა მაზრის სამმართველოში, შუბლ შეჭმუხნულმა უფროსმა უბრძანა მამასახლისს:—მე, შენ მოგწერე ოცი ურემი და რატომ არ შეასრულეო. მამასახლისმა ამოიღო ჯიბიდგან ამათი პირველი მიწერილი ბრძანება და მოახსენა:—აბა, ნახეთ თქვენი მოწერილი ბრძანება, თუ ათი ურმის მეტი ეწეროსო. პატიოსანმა უფროსმა, არც გაშინჯა თავიანთ შეცდომილება, არც არაფერი, გაბრუნდა და გადაუწყვიტა მამასახლის ერთი კვირით სატუსაღოში დამწყვდევა და იმავ მინუტში საწყალი მამასახლისი შეამწყვდიეს გორის სატუსაღოში. როგორც გავიგე და ხალხი ლაპარაკობს, თურმე ხსენებულს მამასახლისს ცოლი ორსულათ ჰყოლია და რომ გაუგია მისი ქმრის დაჭერა, შიშით მუცელი გასცუდებია. მამასახლისი ამბობდა: დანაშაულობაში ისინი იყვნენ და მე უნდა სატუსაღოში ვიჯდეო, მაგრამ ჩემთვის რაც უნდა ექმნათ ნეტავ ერთი-ორი საათი ვადა მოეცათ, რომ სახლობისათვის შემეტყობინებინა ჩემი გარემოება; იმათ ასე ეგონებათ, რომ საციმბიროთ გამამწესეს და ვინ იცის რა უბედურება უნდა მოხდესო.

ამას წინათ ს. ცხაში მცხოვრებელმა აზნაურმა პ—მა იჩივლა ს. და მ. ვ—ბზედ ამავე მაზრის უფროსთან, რომ ვითომც ბ—ლებს პ—ვის მამულიდამ სამი ურემი თივა წაელოთ ძალით (საიდამაც ბ—ბმა თივა წაიღეს, მამულიც მათი არის და თივაც ამათ გათიბეს) და სთხოვა უფროსს, რომ მას მოეხდინა განკარგულება ჩამოერთვა ბ—ლებისთვის ეს თივა და მისთვის ჩაებარებინა. მაზრის უფროსმა დამნაშავის დაუბარებლად მისწერა სურამის პრისტავს, რომ მას მიღების უმალვე გაეშინჯა და თუ მართლა აღმოჩნდებოდა, რომ ბ—ბს მართლა თივა წაუღიათ, იმავ მინუ-

---

ასე კი ქნეს... დათესეს, ბატონო, მარილი, მარამ ტყუილა მოლიც არ ამოსულა... ქე გაწყდა სუმთლა ყოვლისფერი!.. სადაა?.. ვის უნახავს რამე?... არ შეგჭამოს ჭირმა!..

იფიქრეს ივანიკმა და ბოგიელამ: „სწორედ, რაღაცამ ამოგვაგდოვო...“ ბაკეთებას ველოდით და სუმთლა მოგვიჭამა მარილის ყანაო... მერე ბოგიელამ უთხრა ივანიკს: „კილავ! წევიდეთ და უდარაჯოთო...“ წევიდნენ. ერთი აგერ დაჯდა, ნახნავის თავში და მეორე—იქით... შუთიეს ღამე... მარა, ვინ მოვა?... რა მოვა?.. რაიზა მოვა?... რავარც ჩემს თავზე არაა ბანალი, ისთე იქ—ბალახი!.. რომ ინათა—და... დააჯდა ივანიკს, ზედ კაკალ შუბლზედ, ბზიკი... იფიქრა: „აგია ჩვენი დამღუპავიო... მაგას მოუჭამია მარილის ყანაო...“ და რომ არ დააფრთხოს ბზიკი, დაუსტვინა ბოგიელას... ანიშნებს ხელით ბზიკზედ და ეძახის ჩუმე: „ბოგიელავ! (უსტვენს და ხელით ინიშნებს შუბლზედ) ბოგიელავ... ჰა, ბოგიელავ!..“ (პიდევ ისე.)

ბოგიელამ დაინახა ბზიკი, გამოუღო მაჭახელა—და ჰკრა!.. ჰკრა და ვუბედური ივანიკი, ქე გადააკოტრიელა!..

ამისთანა საჯაყი საქმე კი დაემართა ბოგიელას!..

### IV

### შავი ქვები

—ჩვენი ქვეყანა ძალუანი მდიდარი ქვეყანაა, თქვენ ნუ მომიკვდებით!... რა გინდათ სულო და გულო, რომ აქანა არ იყოს?... თოვლი ძვირობდა ჩვენში და ისიც იმოდენი დაყარა, რომ, ბლაეანი ალარ გაუშვია... აწი, ნამუშევარი, ხომ ბრევლი იცის ჩვენში და დედა-მიწაც რომ გათხარო, იქანაც ქე ნახამ სიკეთეს...

ბატონო!... გადათხარეს ოკრიბა, გადათხარეს წირქვალი და აქაც და იქაც შავი ქვები იპოვეს... იპოვეს და მერე რამდენი?! ასი წელიწადი რომ თხარო ვერ გამოლევ!.. იპოვეს და მერე რა გვარი?... იმ ერთს, ცეცხლი რომ წაუკიდო, სულ გადიწვის მთელი ოკრიბა და მეორეს ოკრიბა რომ ზედ წააყარო ძლივს გაადნობ!.. ერთი ისთე იწვება, რავარც სტრახში შეტანილი დუქანი და მეორე კი, ისთე მძიმეა, რავარც აულაბრელი სირაჯი! აწი, რაღა გვაკლია?... მარა, მაინც ქე ჩხუბობენ ამ შავ ქვებზედ, ვინც გინდა—ვინა!... დაჭამეს ერთმანერთი!... ბარემ წაუკიდეთ ცეცხლი და შავი ქვა ხომ აგია და ნაცარი ცხელიც ბევრი შაეძინებათ, ფოლადს გამოადნობენ, გააკეთონ ლეკურები და დაერივნენ ერთმანერთს.

### V

### სამებარი

სწორედ უცნაური ხალხია ეს უცხოეთის ქვეყნების ხალხი... მინდლეში დახეტიალობენ და რომ მიადგებიან ერთს ქვეყანას, აგი ჩემიაო—და წააჯდებიან ზედ თავზე!... მე რომ წავიდე და საფრანგეთი ვიპოვო, კი არავინ დამანებებს... არა თქვენ არ დამეხოცოთ!... ერთი ვინცხა მოვიდა და ჩვენებურს ცხამაზის ხეს „მედგედიანა“ დაარქო!... მე მოვახსენე, ბატონო, აგი ცხამაზია და ცხამაზი-თქო, მარა—ვინ გიყაბულა!... „მე ასე უნდა მოვნათლოვო!..“ გადარეულები არიან თვარა, დასტურ აბდლები კი არა ვართ... ეს კია, სულ ქვეშ რომ თქვას კაცმა, რომ იმათში, ზოგი ძალუანი გამბედავი ყაზახი გამოდის...

ერთისა მითხრეს, ვინცხა პოლუმბია იყოვო... იგიც არ ვიცი დასტურ: სცრუობენ თუ მართალს ჩივიან... სამი გემით, სამი თვე იარაო და ნახევარი ქვეყანა იპოვაო!... მე კი, ერთი ლაფშა დავკარგე, სამი წელიწადი ვეძებე, მთელი აფხაზეთი და ჰობულეთი მოვიარე, მაგრამ მისი ძუა-ფაფრისაც ველარა გავიგე-რა!...

მაგიც ბედი ყოფილა.

თავ. რაფ. ერისთავი.

ტას დაუბრკოლებლივ წაერთვა და ჩაებარებინა მოჩივრისათვის. პრისტავმა, რასაკვირველია, იმავ მინუტას შეასრულა უფროსის მიწერილობა, ე. ი. წაიყვანა ჩაფრები, ევრეთვე რამდენიმე ბიჭები ურმებით და, როდესაც მივიდა გ—ბის თივის ძირთან, მაშინვე პრისტავის ბრძანებით ბიჭებმა დაუდეს თივა ურემზედ. შეიტყვეს თუ არა ეს ამბავი გ—ბმა, გამოვიდნენ სახლიდამ, მივიდნენ პრისტავთან და უთხრეს თუ რის ძალით მიაქვს პრისტავს ამათი თივა. პრისტავი აჩვენებს ნაჩალნიკის მოწერილობას და ეუბნება, აი ამის ძალითაო. გ—ბი ეუბნებიან, „თუნდ ეხლავე დაგვხოცოთ ნაჩალნიკის მოწერილობით ჩვენ თივას არ დაგანებებთ, ნაჩალნიკს რა ნება აქვს, რომ მოგვწეროს, ის ხომ მომრიგებელი მოსამართლე არ არის, რომ საჩივარი გადაგვიწყვიტოსო“. ბევრი წინააღმდეგობა გაუწიეს, კინაღამ სისხლი არ დაიღვარა, მაგრამ ბოლოს პრისტავის მხარემ აჯობა, რადგანაც რიცხვით ბევრნი იყვნენ და ამნაირათ საწყალ გ—ბს თივა წაართვეს და წაიღეს.

რატომ ეს? არ ვიცი რატომ, მაგრამ უნდა მოგახსენოთ ქ—ვი შეძლებული და გავლენილი კაცია და გ—ბი საწყლები, და ხმა ამოუღებლები. ეგებ ეს იყოს ერთი მიზეზთაგანი.

ამ საქმეზედ, როგორც გავიგე, საჩივარი გაუგზავნიათ გ—ბს თფილისის გუბერნატორთან.

X.

## წერილი რედაქტორთან.

ბ. რედაქტორო! თქვენის პატივცემული გაზეთის მე-100 და მე-147 №№-ში არის დაბეჭდილი ორი კორრესპონდენცია ს. სვირიდან. პირველ მათგანში კორრესპონდენტი სჩივა: ლუკა ჯულელმა თავი დაიხრჩო და კაცი არ ეძებს, ექიმს არ აგზავნიანო; სვირის სკოლას მასწავლებელს არ უგზავნიანო; ხიდს და ბოგირებს არ აკეთებენო... მეორეში კი ისე გაფიცხებულა, რატომ ყური არ მიგდეს და რატომ პასუხები მაშინვე არ მომცესო და პირადობას ეხება—სწერს: მთელი მიწერ-მოწერა ჯულელის თავის დახრჩობაზედ ერთს მოსამსახურეთაგანს დაუწვავსო.

ამისთვის მე, ვითარცა პირი, რომლის ხელშიაც სწარმოებს საქმე ჯულელის დახრჩობაზედ, გთხოვთ მისცეთ ადგილი შემდეგ განცხადებას.

პასუხი არ მისცეს სვირელის კორრესპონდენციას, რამოდენათაც მე ვიცი, მისთვის, რომ ბ.ბ. მკითხველები წაკითხვისათანავე დარწმუნდებოდნენ კორრესპონდენტის უმეცრებაში. ნუ თუ ჰგონია მას, რომ ამისთანა შემთხვევები: კაცის უეცარი სიკვდილი, რითაც უნდა მოხდეს, ბუნებით, გინა ძალადობით და სხვანი ამ გვარი შემთხვევანი, მთავრობის ყურამდის არ აწევენ! ნუ თუ მას არ ჰგონია, რომ ამ გვარ შემთხვევებს ტყობილობენ არა თუ ადგილობითი უმახლობელესი მთავრობა, მამასახლისიდან მაზრის უფროსამდის, არამედ ბ.ბ. ღუბერნატორი და პროკურორიც, რომელნიც, უკეთუ შენიშნავენ რაიმე ნაკლულევანებას, მოახდენენ ფიცხელ განკარგულებას! ნუ თუ ჰგონია კორრესპონდენტს, რომ ჯულელის თავის დახრჩობაზედ არ მოხსენებიათ ბ.ბ. ღუბერნატორს და პროკურორს, რომელთაც არ დაუნახავსთ საჭიროდ ჯულელის შემოწმება ექიმით. ამაზედ ნუ შესწუხდება ბ. კორრესპონდენტი—ეს წესი შესრულდა ჯულელზედ და მიწერ-მოწერაც ამ საგანზედ, მოსპობილი და დაბრუნებული პროკურორისგან, რომელიც მას ჰგონია დამწვარიაო, ინახება მთელათ და უვნებლად, კორრესპონდენტის უცნობლად. ეს რისთვის მოხდა ასე, ამის ახსნის დრო არა მაქვს და, თუ სურს კორრესპონდენტს, შეუძლია მობრძანდეს და დარწმუნდეს, რომ მისი ცილის-წამება ნამდვილი არის, ამასთან შიიღოს საჭირო მისთვის ცნობა, თუ რომელ შემთხვევაში არის საჭირო მიცვალებულისათვის ექიმის შემოწმება და როდის შემოწმებას არა აქვს ადგილი. უკაცრავათ, კორრესპონდენციაში იყო რამოდენიმე მართალი ე. ი. რომ ქუთაისის მაზრის უფროსი, მისი თანაშემწე ბ. ალშიბაია და სახალხო სკოლების დირექტორიც არიან თავ-თავის ადგილზედ და ცდილობენ, შეძლებისამებრ, აღასრულონ თავიანთი თანამდებობა. რაც შეეხება გზის და ხიდების კეთებას, ვურჩევთ სვირელ კორრესპონდენტს, ნაცვლად ამ გვარი ჯღაბნისა, როგორც თვითონ ამბობს, რომლითაც იგი ვერ მოუტანს სვირელებს სარგებლობას, მიიღოს მონაწილეობა თავის ძმებთან—სვირელებთან, აკეთოს გზები და ხიდები და მით მოუტანოს მათ არსებითი სარგებლობა.

მაზრ. სასამართლოს საქმის მწარმოებელი
ს. გოგიჩაძე.

25 ივლისს.
ქ. ქუთაისი.

# რუსეთი

შესახებ კავკასიის სანამესტნიკოს მოსპობისა გაზეთი რუსკი კურიერი ამტკიცებს, რომ ღენერალ-ღუბერნატორობის შემოღება იმდენად სარგებლიანი არ არის, რამდენათ ბევრს ჰგონიათ ესაო. ამ აზრის დასამტკიცებლად გაზეთს მოჰყავს თვითონ მთავრობის განკარგულება, რომლითაც ორენბურღის ღენერალ-ღუბერნატორობა მოისპო, რადგანაც დაინახეს ამისი უმნიშვნელობა და უბრალო ხარჯი. სხვა რომ არა იყოს-რა ორენბურღის ღენერალ-ღუბერნატორობის მოსპობით ხაზინას ყოველ წლივ 8 მილიონი მანეთი მაინც შეეძინება. გაზეთი ამტკიცებს, რომ სამწუხაროდ ამ გვარმა მმართველობამ პირ-და-პირ დაგვიმტკიცა თავისი უვარგისობაო. საჭიროა საზოგადოებას ჰქონდეს მხედველობა ადმინისტრაციის მოქმედებაზედ და თუ ამას მოკლებული იქნება ის, იმ შემთხვევაში ადმინისტრაციას სრული უფლება აქვს იმოქმედოს როგორც უნდა და ჩინოვნიკებს სრული უფლება აქვთ კანონი, რამდენიც უნდა, დაარღვიონო.

ბოლოს გაზეთი ამბობს:

„აი ამისათვის საჭიროა რომ ღენერალ-ღუბერნატორობა სულ მოისპოს და საქმის მსვლელობა დამყარებული იქმნეს კანონის მოთხოვნილებაზედ, რომლითაც შეიძლებოდეს დასჯა ნამდვილი დანაშაულისა და რომლისგანაც არავის ინტერესი არ გრძნობდეს უსამართლობას და რომლის შემწეობით მართალი პირების თავისუფლება და ხელ-უხლებლობა დაცული იქნეს მისგან; დასასრულ, მიენიჭოს საზოგადოებას და ჟურნალ-გაზეთობას ფართო ასპარეზი ჩინოვნიკობის მოქმედებას თვალ-ყური ადევნოს და მათი ბოროტ-მოქმედობა გამოააშკარაონ და განკიცხონ. ადმინისტრაცია, რომელიც მთელ თავის საშუალებას და ღონეს ხმარობს მისდამი მინდობილ ქვეყნის სასარგებლოდ, არ საჭიროებს რომ მისი მოქმედება დაფარული იქმნეს; წინააღმდეგ ამისა, რაც უფრო ცხადი, რაც უფრო სრული განთქმული და გამოაშკარავებული იქმნება მისი მოქმედება, მით უფრო მეტ ნდობას შეიძენს საზოგადოების მხრით. და რაც უფრო ფართო ასპარეზი ექნება საზოგადოებას ადმინისტრაციაში რომელიმე მსახურის მოქმედების გახსნისა ანა და მთელი სამმართველოსი, მით უფრო ძნელი იქნება მათთვის რომელიმე ბოროტ-მოქმედების დაფარვა, მით უფრო გაუადვილდება სახელმწიფოს ცენტრალურ სამმართველოს თვალ-ყურის დევნა, რომ კანონების მოთხოვნილება სრულად ასრულდეს ადგილობრივი ადმინისტრაციის აგენტებისაგან.“

— როგორც სწერენ რუსული გაზეთები, ამ მოკლე ხანში უნდა მოველოდეთ სასულიერო აკადემიების გარდაკეთებას. ეხლა ეს სასწავლებლები წარმოადგენენ ფილოლოგიურს და სასულიერო ფაკულტეტებს ერთად შეთანხმებულს. ფილოლოგიური საგნები უფრო მეტიც არის, ვიდრე სასულიერო ამ აკადემიებში და ამიტომაც არის რომ სასულიერო საგნების მსვლელობა სუსტად მიდის.

რადგანაც აკადემიაში სასწავლებელი საგნები ბევრია, ამათი შესასწავლად, ძალა-უნებურად, დაწესებულია სამი განყოფილება, სადაც ყველგან განსაკუთრებით საგნებს, მაგრამ იმ გვარად, რომ სასულიერო საგნების შესწავლა ერთად მიდის ფილოლოგიურ საგნებთან. მომავალში აპირებენ გარდაკეთებას იგრე, რომ ეს საგნები შეამცირონ, რამდენათაც შესაძლო იქნება. ყველა ოთხი სასულიერო აკადემიების ბიუჯეტი შეადგენს წელიწადში 500 ათას მანეთს; თუ შეამცირეს შესასწავლი საგნების რიცხვი—მაშინ შესაძლო იქნება ამ ბიუჯეტის შემცირებაც, რასაკვირველია.

— „კიევლიანინში“ სწერენ: როცა ზოგიერთა ურიებს აუკრძალეს კიევის ქალაქში ცხოვრება, იმათ [illegible] დნეპრის მდინარეებზე ტივები და ზედ პალატკა გაიშენეს. კანონში წერია, რომ ქალაქში არ შეუძლიან ცხოვრებაო და წყალზე კი ხსენებაც არ არისო.

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** პალატის ერთ უკანასკნელ სხდომაზე განიხილეს წინადადება შესახებ სამეფო ბრილიანტების გაყიდვისა, რომელთაც დაუკარგავთ როგორც ისტორიული ისე მხატვრობითი მნიშვნელობა. დეპუტატმა რასპაილმა შეიტანა წინადადება გაიყიდოს ყველა სამეფო ბრილიანტები დაუკლებლად. დაფასებით შემდგარა მათი ფასი 30 მილიონი ფრანკი, წვრილი ბრილიანტების გარდა, რომელიც დაფასებულა 12 მილ. ფრანკად. ბევრი ამათგანი დაკარგულა კიდევაც. რასპაილი სთხოვდა პალატას უთუოდ გაიყიდოს მალე, თორემ ვისთვის ინახებაო, თითქოს ახალ მონარხიას მოველოდებითო. ცოტა ხნის ბაასის შემდეგ პალატამ მიანდო მმართებლობას ყველა სამეფო ბრილიანტების გაყიდვა.

— როგორც პარიჟიდამ იწერებიან, რომის პაპს აღუთქვამს საფრანგეთისათვის, რომ მომავალ აღმორჩევებში არავითარ მონაწილეობას არ მივიღებთო.

— 24 ივლისს (5 აგვისტ.) გამბეტას წარმოუთქვამს ტურში სიტყვა. აი ამ შინაარსით: მონარხიელები ძლეულნი არიან. რესპუბლიკამ ეხლა უნდა აასრულოს ძველი დიდი-ხნით მიცემული პირობა, ე. ი. მოახდინოს „სოციალური ემანციპაცია“ („საზოგადო განთავისუფლება“) მისცეს თავისუფლება პოლიტიკაში და სამუდამო პროგრესსი. თითონ, გამბეტა, ორი პალატის სისტემის მომხრე არის, მაგრამ ჰსურს სენატის რეფორმა. ითხოვს რომ სამუდამოთ ამორჩეული სენატორები მეორეთ კონგრესისგან იყვნენ არჩეულნი. მერე ის თხოულობს განათლებას, გონებითი გახსნას, ასოციაციების სრულს თავისუფლებას და ჩამოთელის იმ საქმეებსა, რომლებიც უნდა მოხდეს საფრანგეთში სენატის რეფორმით. უნდა საფუძვლიანი რესპუბლიკის უმრავლესობა ჰყავდეს პალატებს და ადმინისტრაციას უფრო დიდი პატივისცემა ჰქონდეს.

**ამერიკა.** მთავრობას სასტიკი მიწერილობა გაუგზავნია ქ.ქ. ბოსტონში და ნიუ-იორკში გამოიკვლიონ ვინ იყო გამგზანი ჯოჯოხეთის მაშინებისა ქ. ლივერპულში (ინგლისში) ნიუ-იორკის გაზეთებს მიუღია ცნობა, ვითომც ამ მაშინების გამკეთებელი იყოს ერთი ვინმე, რომელიც ითვლება „ირლანდიელების შეერთებული საზო-

გადოების“ პრეზიდენტათ და რომელიც ამ ჟამად იმყოფება პეორიაში (Ილინოისის შტატში).

## ტაქსია

საყვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 15 დღის განმავლობაში, 15 ივლისიდამ 1 აგვისტომდის.

გამომცხვარი პური:ხორბლის ფქვილის:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 3½ |

Იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5½ |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 კ. |

ჭვარის-მამის პური:

| | | |
|---|---|---|
| პირველ ხარის.ლავაში | 1 გირ. | 6½ |
| მეორის „ „ | —1 გირ. | 5 კ. |
| მესამის „ „ | —1 გირ. | 4½ |

ძროხის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხ ი ს | —1 გირ. | 9 |
| მეორის „ | —1 გირ. | 7 კ. |
| სუკი — — | —1 გირ. | 15 კ. |
| Ცხვრის ხორცი | —1 გირ. | 8 კ. |

Ღორის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | 14 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 12 კ. |

ეს ტაქცია არ შეეხება სოფლის მწარმოებლებს, რომელთაც Თფილისის ბაზრებში და მაედნებზე მოაქვსთ ხორაგი გასასყიდლად.

# ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

1 სეკდემბრიდამ ამა მდგომარე წლისა გაიმართება ქალაქში მიხაილოვის ქუჩაზე, № 85, სტრახოვის სახლებში, ᲛᲝᲡᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲡᲐᲛᲔᲝᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲚᲐᲡᲔᲑᲘ ᲞᲐᲜᲡᲘᲝᲜᲘᲗ. ბავშვების მიღება შეიძლება 1 აგვისტოდამ. მსურველთ შეუძლიანთ დაწვრილებითი პირობა შეიტყონ ხსენებული ადრესით.

სკოლის მაწარმოებელნი:
ი. გარტინსკი.
(3—1) ა. მირზაშვილი.

## ᲐᲮᲚᲐᲓ ᲛᲘᲚᲔᲑᲣᲚᲘ

Დიდ ძალი რიცხვი თოფებისა, რევოლვერებისა, სასროლებისა, პირველ მოკრეფის ჩაისა, ბაკლებისა და სხვ. Თოფები ჩოკ ბორ (*chôke bore*) *George Dau*-ს ფაბრიკიდამ 120 მან. ბულ-დოგის რევოლვერები 11 მან. 700 კრავატები 5 მანეთიდამ 40 მა-მდის. Აქვე ისყიდება პარუსინა ნახევარ ფასად და სხვ. ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲚᲐᲖᲘᲐᲨᲘ. (12—4)

ᲛᲘᲬᲐ იყიდება იმ ალაგას, სადაც აპირებენ ხიდის აშენებას, 18 მ., 20 მ., 22 მ., და 24 მ. კვ. საჟ. მსურველმა იკითხოს ინგლისის მაღაზიაში. Იქვე იყიდება ბაღი 1,300 კვ. საჟ., მიხაილოვის ქუჩაზე 17 მან. კვ. საჟ. (10—6)

ჩᲐᲘᲡ მცოდნე პირმა და მსურველმა უნდა იყიდოს ჩაი, პირველი მოკრეფილისა ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲚᲐᲖᲘᲐᲨᲘ 1 მან. 20 კაპ. და 2 მან. და შეადაროს ჩაის 1 60 კაპ. და 3 მან. ყველგან, ქ. თბილისში და გაიგებთ რამდენათ უკეთესი ჩაია ინგლისის მაღაზიაში. ამის გარდა მაღაზია აძლევს ჩაის წმინდა წონით უქაღალდოთ და უტყვიოთ. (100—17)

ინგლისის მაღაზიაში

თმის ამ-მაგრებელი



მაქ-მას-ტიკი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ (100—10)

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲚᲐᲖᲘᲐᲨᲘ
არწრუნის გალლერეიაში
(*Maison de confiance*)

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | | ჩაის ყველგან |
|---|---|---|
| — — 1 მ. 10 კაპ. | — | 1 მ. 40 კაპ. |
| — — 1 „ 20 „ | — | 1 „ 60 კაპ. |
| — — 1 „ 40 „ | — | 1 „ 90 კაპ. |
| — — 1 „ 60 „ | — | 2 „ 20 კაპ. |
| — — 1 „ 80 „ | — | 2 „ 50 კაპ. |
| საუკეთესო 2 მანეთ. | — | 3 მანეთ. |

ჩაის წონა—უქაღალდოა, სხვაგან კი ქაღალდით. (100—21)

ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲗ იმისა, რომ ბაჟი მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევ იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ., მშვენიერი კაისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრიელ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქაღალდოთ.

ინგლისური რევოლვერ.ბი 4 მ.—40 მანეთამდინ და თოფები 20—200 მანეთამდინ. ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲚᲐᲖᲘᲐᲨᲘ. სააგენტო ბარნსბის უნაგრების გასასყიდლათ, ჯონსის კლიტეებისა, შოკოლადისა და ექსტრაქტისა კაკაო ფრაის რომელთაც დაიმსახურეს პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მენდალი. გირვანქა არომატიული ჩაისა ლამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. გაჭრები მოიგებენ, თუ იყიდიან ბლომათ ინგლისის მაღაზიაში. მთელი კოსტიუმი 15 მ. ხვლების კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა. (100—86)

# ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐ
რუხაძის და
# ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲘᲡᲐ

ვაცნობებთ პატივ-ცემულ საზოგადოებას, რომ 1880 წლის ნოემბრის 20 დღიდგან გაღებულ ჩვენ მიერ ქ. ᲤᲝᲗᲡ ᲙᲐᲛᲛᲘᲡᲘᲝᲜᲘ ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐᲨᲘᲓ ლუკა რუხაძის მაღაზიაშიდვე ვღებულობთ შრომას მსურველის მოთხოვნილებით ყოველ გვარ საქონლის გაგზავნ-გამოგზავნის, ყიდვის და გაყიდვისაც ნაკლები კამმისიით.

კამმისიის საქმეებს აწარმოებს ᲛᲝᲡᲔ ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲡᲫᲔ ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔ, რომლისგანაც მსურველს შეუძლია ყოველი ანგარიშის შეტყობა.

(6—5) ლ. რუხაძე.

ზრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ) და ბ-ნი Იოანნისიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა:

წითელი ფარანი, ფასი 15 კ.
ხატაური — — — 10 კ.

## ᲐᲮᲚᲐᲓ ᲛᲘᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ

Ინგლისის მაღაზიაშია დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა. 30% უფრო უკეთესი ვიდრე სადმე სხვაგან. Იქვე ისყიდება: პარუსინა არშ. 40 კა. სტაქნები და ბაკლები 10 კაპ., პადნოსები 5 კაპ. მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (25—5)

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲚᲐᲖᲘᲐᲨᲘ

ᲛᲝᲡᲐᲮᲣᲠᲐᲕᲘ 4 მანე., ნასოსები 1 მ., დასაკეც სკამები 2 მ., სკამიანი ჯოხი 4 მ., კრავატიანი კრესლო 10 მ. დაწყებული, ფილტრები 4 მ.,ქინძისთავების შესანახავი 50 კაპ., ხრუსტალის ჩაის სტაქნები 25 კაპ. და 30 კაპ:, ლეპიოშკები და პასტილა თამბაქოს მხმარებლებისათვის 60 კაპ. ინგლისური ვანნები და სხვა. (20—20)

ჩᲐᲘᲡ ᲛᲪᲝᲓᲜᲔ ᲞᲘᲠᲗ ᲓᲐ ᲛᲡᲣᲠᲕᲔᲚᲔᲑᲡ

შეუძლიათ იყიდონ პირველ მოკრეფის ჩაი ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲚᲐᲖᲘᲐᲨᲘ 1 მან. 20 კაპ. და 2 მან. და შეადარონ 1 მან. 60 კაპ. და 3 მან ჩაის ყველგან Თფილისში და გაიგებენ, რომ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲚᲐᲖᲐᲨᲘ ნაყიდი ჩაი ბევრათ უკეთესია. ამის გარდა ჩაი იყიდება წმინდა წონით, უქაღალდოთ. (100—2)

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ ᲛᲐᲚᲐᲖᲘᲐ კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაიგასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შჩო გებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლეშჩივინი ზეთისა) და სხვ. საააგენტო მაკინტოშის მოსასხურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატჯერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭვავნას გიარები. (100—2)

ტფილისს ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და ქუთაისს გერარდის წიგნის მაღაზიაში ისყიდება

სამწერლო
# ᲗᲐᲘᲒᲣᲚᲘ

შედგენილი და გამოცემული ილია ჭყონიასაგან. შინაარსი: I ბაბუას თხოვნა (ლექსი) მ. ფაზელისა, II უბედური შემთხვევა (ამბავი) ჭ—სა, III ჩემს სურათებზე (ორი ლექსი) მ. ფაზელისა, IV მ...სადმი (ლექსი) გ—სა, V ფერი ფერს—მადლი ღმერთს სამ-მოქმედებიანი კომედია ცვლილ. თარგმ. ალექსი ჩიჩინაძისაგან, VI ჩივილი ხვედრისადმი (ლექსი) რაფიელ ერისთვისა, VII ხასიათის გავლენა სამეულ სმაილსისა, VIII უკითხავი პასუხი (ლექსი) ნ. Დ—სა, IX ახალი მოვლინება ჩვენს ლიტერატურაში და X მტარვალებს (ლექსი) Აკაკისა.

Ფასი თითო წიგნისა ათი შაური.




მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და ყველასაგან ხმარებული ᲬᲐᲛᲐᲚᲘ ᲜᲐᲝᲤᲚᲐᲠᲘᲡᲐ, რომელიც (ნაოფლარი) სიცხისაგან გაჩნდება ხოლმე, განსაკუთრებით ხშირთა ფეხის თითებს შუა,




# ᲒᲐᲚᲛᲐᲜᲘᲜᲘ
(Гальманинъ)

ისყიდება აფთიაქებში და აფთიაკის წამლების მაღაზიაში ევროპის ყველა დიდ ქალაქებში. მთავარი დეპო ამ წამლისა არის Ფარმაციის მაგისტრის გ. კარპინსკის აფთიაკის ქ. ვარშავში, ელექტორალის ქუჩაზე № 35. დიდი კარობკა გალმანინისა ვარშავში 50 კ. ღირს, პატარა — 30 კაპ. უნდა გაუფრთხილდეთ, რომ ყალბი გალმანინი არ შემოგატყუონ და ითხოვოთ რომ კარობკასთან იყოს: ახსნა როგორ უნდა იხმაროთ წამალი და მედალი პარიჟის მსოფლიო გამოფენისა. (20—16) გ. კარპინსკი.

ᲒᲐᲛᲐᲡᲔᲡᲮᲔᲑᲔᲚᲘᲡ ᲙᲐᲡᲡᲘᲓᲐᲜ

ზრიგოლ ზარამოვისა და კომპ., ქუთაისში ამით ცხადდების, რომელ ორშაბათს 10-ს აგვისტოს ამა წლისს დილის 10 საათიდან, განისყიდება ამა კასსის წინ, ქალაქის აუკციონისტების ხელით ის გირაოები, რომელნიც არ დაუხსნიათ კასსიდგან ვადის ორის თვის ალგოტის შემდეგ: ოქროსი, ვერცხლისა ბრილიანტისა და სხვა ნივთეში. (7—8)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 30 Іюля 1881 г. Типографія С. Меликова. Გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი